

ମୁଖ ପରିବାର ପତ୍ର



କବିତା ପତ୍ର

1898 6
N 115

ჩვენის სამკულესო ოსტორიდან

სამართალი კათოლიკოზისა

(ცუძღვნი ჩვენის საეკკლესიო მწიგნობრობის მფარველს ყოვლად უსამღვდელოეს გორის ეპისკოპოზს აღექსანდრეს).

ქართულ სამართლისა და კანონ-მდებლობის ისტორიაში გათვალისწის სამართლების, რომელიც მეფე ვახტანგის კრებულშია შეტანილია, დიდი საყურადღებო მნიშვნელობა აქვს. თუ კა სამართლის დამდგენერალი წინა-სიტყვაობაში ამბობენ — „და ვიდევით რჯულის კანონი და ჩვენცა იმისგან გარდმოვიდევით და რაც იმისაგან არ გადმოვიდევით, ჩვენ ჩვენი მაგიერი არა შეგვიმატებია-რაო“, მაგრამ კათოლიკოზის სამართალს მაინც თავისებურება ამჩნევია, იგი ჩვენის წარსულის ნაშთია, ჩვენის ისტორიისა და ცხოვრების ნამდვილს სურათს წარმოადგენს. როგორც ცხადად ეტყობა, საზოგადო საჭიროებისა და „უამთა-სიავისა“ გამო შეკრებილან ეკკლესიის წარმომადგენელნი ამ სამართლის გასაჩენად და აღსაწერად. ამიტომაც კათალიკოზის სამართლის შესწავლას მარტო ცალ-კერძო და ვიწრო სპეცია-ლური ინტერესი არა აქვს: ესეთი შესწავლა ნათელს ჰქონის მთელს საისტორო ხანას...

სამწუხაროდ, ჩვენს ისტორიკოსებს და არქეოლოგებს აქა-მომდე უცილობლად ვერ გამოუკვლევიათ, — სახელდობრ რო-მელს დროს დაადგინეს კათალიკოზის სამართილი. მაინც არა-სანატრექლს მდგომარეობაში იმყოფება ქართველი იურისტი, როდესაც თავისის საერთო სამართლის რომელსამე ნაშთს



იკვლევს და იძიებს. ქართული ისტორია და არქეოლოგია მეტად ცოტად უწყობს ხელს ასეთს კვლევასა და ძიებაში. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ისტორიული და არქეოლოგიური მეცნიერება და ცოდნა ჯერ ისევ დაბლა სდგას. დიდი ხანი არ არის, რაც ქართულმა ისტორიამ და არქეოლოგიამ ფეხი აიღეს და ბევრი აბა როგორ მოეთხოვება პირველს ანუ მეორესა. ამიტომ რა საკვირველი უნდა იყვეს, თუ აქამიმდე არ ვიცით, რომელ საუკუნეს — წელიწადს ვინდა დაგიდევს — ეკუთვნის ასეთი დიდად შესანიშნავი ძეგლი, როგორიც კათალიკოზის სამართალია. თუმცა „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენებულია, რომ იგი სამართალი დაადგინეს იმერეთის მეფის გიორგი მესამის დროს, 1605—39 წ., მაგრამ ბროსეს ეს დრო ანაქრონიზმად მიაჩნია. პატივცემული მეცნიერი დასძენს, რომ სამართლის წინა-სიტყვაობაში აღნიშნულნი საქართველოს კათალიკოზი მალაქია და ოთხაზეთის კათოლიკოზი ევდემონ სხვა-და-სხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენო, როცა მალაქია კათალიკოზის ტახტზედ ავიდა, მაშინ ევდემონი დიდის ხნის გარდაცვალებული იყოო¹⁾). სხვა აზრს ადგია ჩვენი საეკკლესიო ისტორიკოსი პ. იოსელიანი. თუმცა ამ ისტორიკოსს არც ერთი საბუთი არ მოჰყავს, მაგრამ პირდაპირ და გადაჭრით ამბობს, კათალიკოზის სამართალი დაადგინა იმერეთის კათალიკოზმა ევდემონ მეორემ 1667 წელსაო²⁾). დ. ბაქრაძე ამ საკა-

¹⁾ Hist. de la G. II, I liv. 265 n 4. პ. იოსელიანი საქართველოს კათალიკოზს მალაქიას უჩვენებს თავისს სიაში 1580 წ., ხოლო იმერეთისა და ოთხაზეთის კათალიკოზს ევდემონ პირველს უჩვენებს 1582 წ. ევდემონ მეორის კათალიკოზობის წელიწადი მოხსენებული არ არის, ისტ. ერთ. ცერ. 1943 გ. стр. 149—52. საქართველოს კათალიკოზი მალაქია გუჯარში მოხსენებულია 1673 წელს. ამან დაადგინა წესი, თუ რომელ სასულიერო მოხელეს რა ადგილი ეჭირა წმ. მირონის კურთხევის, მეფის დაგვირგვინების და სამეუფო დღესასწაულების დროს. კათალიკოზს იმ დროს ოცდა თხუთმეტი ეპარქია ეჭვემდებარებოდა. მცხეთის საკრებულო ტაძარს ჰყავდა ათას ოცდა ხუთი კომლი ყმა, ცერ. დ. პ. შუცელაძე, 111—12.

²⁾ Ист. Груз. Церк. 117. პ. იოსელიანის აზრს იმეორებს ბ-ნი მ. ჯანაშვილიც, საქართველოს საეკკლესიო ისტორია, 1886 წ. გვ. 127.

მათო საგანს თითქო ყურადღების ღირსად არ სთვლის, არა-ფერს თვისისას არ დაასკვნის და მხოლოდ ბროსეს მოსაზრებას უჩვენებს. ბ-ნს თ. უორდანის კი უფრო საჭიროდ უცვნია ეს საგანი. იმას სხვა-და-სხვა საარქეოლოგიო ფაქტი და საბუთი შეუკრებია და ფიქრობს, რომ კათალიკოზის სამართალი დაადგინეს 1565—1572 წლებში³⁾), მაგრამ ნიშნობლივ რომელ წელიწადს, ამას კი არ ამბობს. დასასრულ უნდა მოვიხსნიოთ, რომ ჩვენი ახალგაზდა მეცნიერი ა. ხახანაშვილი აღნიშნავს ერთს გარემოებას, რომელიც შეეხება კათალიკოზის სამართლის ქორონიკონს და საარქეოლოგიო მნიშვნელობა აქვს. თავისს „გუჯრებში“ ბ-ნს ხანანაშვილს მოუთავსებია ბიჭვინტის ღვთის მშობლის დიდად შესანიშნავი გუჯარი, რომელზედაც ერთად ხელი უწერიათ კათალიკოზს მაღაქიას და კათალიკოზს. იგი გუჯარი დაიწერა და შესრულდა XVI—XVII საუკ. განმავლობაში⁴⁾). თუკი ეგრე ყოფილა, კათალიკოზის სამართალიც, რომელშიაც კათალიკოზი მაღაქია და ევდემონ ერთად იხსენებიან, მეთექვსმეტე საუკუნეში უნდა განეჩინათ და აღწერათ,—ესეთი დასკვნა ლოდიკური შედეგია „გუჯრების“ ავქსონის მოსაზრებისა. ყოველ შემთხვევაში მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნე ჯერაც ერთი-ერთმანეთს ეცილებიან,—მე მეკუთვნის კათალიკოზის სამართალიო და მხოლოდ მომავალი სამეცნიერო გამოკვლევა თუ საბოლოოდ გა-

³⁾ Абхазские Католикосы, 1893 г. стр. 15—16. ბ.ნი თ. უორდანია თავისს „ქორნიკებში“, II გვ. 375, 388—90 ამბობს, რომ კათალიკოზის სამართალი დაწერილია პირველ ნახევარს XVI საუკუნისას. კათალიკოზი მაღაქია მოხსენებულია 1549 წ. იგი წოდებულია „ყოვლისა საქართველოისა მამათ მთავრად“, „მამათ მთავართ მთავრად“, „კათალიკოზპატრიარქად“. აღსანიშნავია, რომ მეფე ლეონ და დედოფალი თინათინ პირობას აძლევენ ამ შესანიშნავს და დიდად გავლენიანს კათალიკოზს „თქვენად ნება-დაურთავად არც ვის ქალი მივსცეთ და არც ვისი ჩვენ მოვიყვანოთ“... იქმნება აქ მეტი არ იყვეს აღვნიშნოთ, რომ 1519 წელს, ბაგრატ მეფის დროს, მოხსენებულია იმერეთის კათალიკოზი მაღაქია, ხოლო 1629 წელს ნაჩვენებია კათალიკოზი მაღაქია გურიელი, ცер. გუდჯარი, 133, 141.

⁴⁾ გუჯრები, 1891 წ. გვ. 124—57,

ნგვობს ამ ცილობას და ნამდვილს, სწორე ქორონიკონს აღმოაჩენს.

საშინელს განსაცდელსა და გაჭირვებაში იმყოფებოდა საქართველოს ეკკლესია XVI და XVII საუკ. თითქმის არც ერთი ბედნიერი დღე იღარ ჰქონდა მართლ-მაღიდებლობას. მძვინვარენი და დაუშრეტელ მტრობით აღსავსენი სპარსი, და ოსმალნი ლამობდნენ ჩვენის ეკკლესიის შემუსვრას და აღმოფხვრას. საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველს სარწმუნოება შეადგენდა და ამიტომ მაჰმადიანობა ასეთის კადნიერებით და მძულვარებით აღსდგა ივერიის ეკკლესიაზედ. თუ სარწმუნოებას პატივი და ლირსება მოესპო, ერიც ნება-უნებურად სასოწარკვეთილებას მიეცემა და თვით-არსებობაზედ ხელს აიღებსო. ამიტომ სულ იმ ცდასა და ფიქრში იყვნენ, რომ ჩვენი მართლ-მაღიდებლობა დაემცირებინათ, გაეთასსირებინათ, შეემწიკვლათ. მაგრამ ქართველობა გულს არ იტეხდა. მეფენი და დიდებულნი ბერობას იმოსავდნენ, საქმით და სიტყვით საზოგადოებას ამხნევებდნენ, იმედსა და სასოებას უღვიძებდნენ. ბარბაროსობა და ფანატიკოსობა მაინც თავისას არ იშლიდა და თანდათან უფრო მეტის მხნეობით და შეუპოვერობით იბრძოდა და ჰლელავდა. ბოლოს, დროებით, მტერმა კიდეც გაიმარჯვა, — საქართველოს მეფეებმა მამა-პაპეულს რჯულს ულალატეს, ჩენი კათოლიკე ეკკლესია ჰგმეს და მაჰმადიანობა აღიარეს¹⁾). დიდად შემაძრწუნებელი იყო ეს უბედურება ივერიის ეკკლესიისათვის, რომელიც მეოთხე საუკუნიდანვე მცირე აზიაში ბრწყინვალე ვარსკვლავად ითელებოდა და ცხოველ-მყოფელს მადლს ანიჭებდა მთელს არე-მარეს. კათალიკოზის სამართლის წინა-სიტყვაობაშიაც გაისმის ძალუმი და გულის სიღრმიდან ამოღებული ერის დრტვინვა და ვაება, ერის გლოვა და გოდება — „დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგანაო“... სარწმუნოების შელახვას თან მოჰყვა ზნეობრივი გახრწნილება. XVI და XVII საუკუნეთა შავი და ბნელი სურათი კათალიკოზის სამართლის წინასიტყვაობაშიაც ცხოვლად გამოიხა

¹⁾ П. Йосселиани, Ист. Груз. Церк. 108—113.

ტა — „მრავალი უწესოება და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკკლესიის კრეხვა და უხვედრობაო“.

ზნეთა სიღუხჭირე და სივაგლახე საერთო წყლულად გარდაიქცა, ამერთა და იმერთა ერთნაირი „სიყმილი“ მოედო, ერთნაირი სენი მოეფინა. სამწუხარო და სავალალო შეიქმნა ივერთა მდგომარეობა.

ორგვარი იყო ეგეთი მდგომარეობა: „მრავალი უწესოება და უჯერო საქმე“ გავრცელდა როგორც საეკკლესიო, ისრე სამოქალაქო ცხოვრებაში, ზნეობრივი უკულმართობა და ბოროტება გაბატონდა როგორც სასულიერო, ისრე საერო წოდებაში. იმ სავალალო დროს წესი და რიგი თითქმის სრულიად განიდევნა საეკკლესიო გამგეობიდან და ეკკლესიის მსახურთ სალმრთო და წმინდა მოვალეობა თითქმი გულიდან აღმოეფხვრათ. რასაკვირველია, ამას ზედ ის დაერთო, რომ სასულიერო წოდებას პატივი და დიდება მოესპო, აეხადა. თუ სადამდე აღწევდა საეკკლესიო უწესოება, უჯერო საქმე, კათალიკოზის სამართლის გარდა, სხვა ძევლიც ღალადებდა, სახელდობრ ეპისკოპოზის გრიგოლის „სამთავნელთა სარგო და საკანონო“.

გრიგოლ სამთავნელი საეპისკოპოზო კათედრაზედ 1549 წ. აღვიდა და მსწრაფლ დიდი ყურადღება მიაქცია ეკკლესიის სამწუხარო მდგომარეობას. ამის „სარგოსა და საკანონოში“ ცხადად იხატება სამლენელოების ზნეობრივი სახე: უკანონოდ ჯვარისწერა, უზიარებლად მოკვლა, უანდერძოდ დამარხვა და სხვა ამგვარი დანაშაულობა თითქმი ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენდა¹⁾). უეჭველია, რომ სასულიერო წოდების ასეთმა საქციელმა უფრო მეტად შეარყია სარწმუნოების სიტყუიცე და ეკკლესიაზედ მოსეული მტერი უფრო გაათამა-მა, გააკადნიერა. საოცარის სისწრაფით ვრცელდებოდა საქარ-

¹⁾ ცერ. გუჯარი, стр. 49—51. ეს „სამთავნელთა სარგო და საკანონო“ დაბეჭდილი აქვს ბ-ნს ქორდანიას თავისს „ქრინიკებში“, ნაწილი მეორე, 272—77. „უკეთუ უზიარებელი მოკლას ხუცესმა“... „უკეთუ მღვდელმან უნათლავი მოკლას ვინმე“... „უკეთუ უზუცოდ და უანდერძოდ მკუდარი ვინმე დამარხოს“... და სხ.

მთამბე

თვეელოში მაჰმადიანობა, ყოველ წელს ათასი და ორი ათასი სტოკებდა ქრისტიანობას. ბოლოს საქართველო იქამდე მივიღა, რომ ტაძარი და საკურთხეველი ურჯულოთაგან შებილწულ და შეგინებულ იქმნენ, უწმინდურ პირუტყვთა სადგურად გარდა—იქცნენ⁷). რაკი ეკკლესიას ესეთი უბედურება ეწია, რასაკვირველია, ეკკლესიის უმაღლეს წარმომადგენელსაც თავს უბედურება დაატყდა. ბიჭვინტის გუჯარი ცხადად ამტკიცებს, რომ თვით კათალიკოზის შეურაცყოფა, სიტყვით თუ ხელით, ეპისკოპოზის ცუდად მოპყრობა აღვილად შესაძლო შეიქმნა⁸). და საყურადღებო კიდევ ის არის, რომ ყოველსავე ასეთს ბოროტებას თითქო დასასრული არ ეტყობოდა, დროთა განმავლობაში თანდათან უფრო მრავლდებოდა და ვრცელდებოდა ლიხთა ამიერ და იმიერ. წინადან ჩვენს ეკკლესიას ბლომად მოეპოვებოდნენ ლირსნი და სახელოვანნი მსახურნი. მაგრამ მეოქვესმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეში უცხოელთა ბატონობამ და ზნეობრიემა გახრწნილებამ დააუძლოურა ოდესმე მხნე და მოჭირნახულე სასულიერო წოდება და ამ წოდებაში თითქო მამულის—შეილობაც კი მოსპო, „კაცნი“ გააწყო. თეიმურაზ მეფე მწარედ შესჩივის რუსეთის მეფეს მიხეილ თედორეს ძეს: მღვდელნი ცოტანი-ლა არიან ჩემს სამეფოშიო, თითქმის ერთი სანდო და შეგნებული კაციც კი არ მომეპოვება, რომ ვერწმუნო და თქვენთან დესპანად გამოვგზავნოთ⁹). რასაკვირველია, ამ სიტყვებში თავისებური თავაზიანობა და, აღმოსავლეთური თავმდაბლობა მოსჩანს, მაგრამ ისიც ცხადია—თუ რა გაჭირვებაში იმყოფებოდა საქართველო. სპარსეთი მაინც არა სცხრებოდა. პეტრე დიდის ამხედრებამ ხომ უზომოდ გააფორა და უსამზღვროდ განარისხა ეს საქართველოს დაუძინებელი მტერი. როცა ირანის პოლიტიკოსნი მიხვდნენ, რომ საქართველო რუსეთის მფარველობას ედებსო, მთლად მტრობის უინს მიეცნენ და ჩვენის სამშობლოს მოსპობა გარ-

⁷⁾ Переписка Груз. цар. съ Российскими Государ. стр. 7, 65.

⁸⁾ გუჯრები, 131—35.

⁹⁾ Переписка... 8—11, 38.

დასწყვიტეს. უფრო ყველაზედ დიდი მწუხარება ისევ ეკკლესიას მოევლინა. სამღვდელოება აღმოხოცეს, თუ არა და,— მთასა და ლრეში განაბნიეს. ეკკლესიანი და ტაძარნი დაარღვიეს. მთელს კახეთში მხოლოდ ერთი მონასტერი-ლა დარჩა დაუნგრეველი. კათედრა დადუმდა, ქრისტიანობის ლალადისი შესწყდა. ძნელი წარმოსადგენი-ლა იყო ამაზედ მეტი ფანატიკოსობა¹⁰). პეტრე დიდმა ეს შესძლენა მართლ-მაღიდებელს ივერიას, რომელიც „პოლიტიკაში“ ჩაითრია და სპარსეთის წინააღმდეგ აღსძრა.

დასავლეთ საქართველოს მდგომარეობაც ასეთსავე სურათს წარმოადგენდა. აქ ქრიტიანების ოსმალეთი ავლებდა მუსრს. იმერეთის მეფე ალექსანდრე მეოთხე სწერს იმპერატრიცა ანნა იოანოვნას— „წმინდანი მონასტერნი არიან სადგურ აგარიანთა და ეკკლესიანი იქმნენ ქვაბ ავაზაკთა“... „კათალიკოსნი და ეპისკოპოზნი არიან ტუვეობასა შინა“... „სოდომელთა ემსგავსა ქვეყანა ჩვენი და გომორელმთაცა შეესწორა“... ოსმალნი ხატთა, ჯვართა, საღმრთო წიკნთა სწვავდნენ, ბერთა და მონაზონთა თავს ჰკვეთდნენ, მღვდელთა სტანჯავდნენ, აწვალებდნენ¹¹).

ყველივე ეს მხოლოდ ხორციელს განსაკულელსა და სატანჯველს შეადგენდა. მაგრამ მართლ-მაღიდებელ ეკკლესიას სხვა გვარი „უჯერო საქმეც“ გაუჩნდა. ჩვენი ისტორია მოწმობს, რომ რუსუდან დედოფლის დროიდან დაწყებული ძლევა-მოსილს პაპის ივერიის ეკკლესია არ დავიწყებია, მუდამ თვალი იმისკენ სჭერია და როდესაც მარჯვე დრო ჰქონია, ხელის წვდენასაც არ მოჰრიდებია. რომის მეუფის ასეთმა მისწრაფებამ ფრთხები შეისხა უმეტესად მაშინ, როცა ჩვენი ეკკლესია სპარსთა და ოსმალთაგან შეეიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა (XV საუკ.). შემდეგ ლოტრანობაც (ლიუტერის მოძღვრება) პაპის მაგალითს დაადგა და იმანაც ხელი გამოაწვდინა. საქართველოში მოვიდნენ ტიურინგენელნი მქადაგებელნი და თავიანთი მოძღვრების გასავრცელებლად სამცხე-საათა-

¹⁰⁾ ibid. 167—172¹¹⁾ ibid. 196, 202.

ბაგო აირჩიეს. იმათ მეცალინეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. უკარყვარე ათაბაგი უკვე დაიყოლიეს¹²⁾ და ლოტრანობის დასამყარებლად ნიადაგი მოამზადეს.

მართალია, საქართველოს ეკკლესიაზედ მტერნი ყოველ მხრივ აღსდგნენ, მაგრამ სასოება და იმედი მაინც სრულიად არ დახშულა, წამებული ეკკლესია უმფარველოდ არ დარჩენილა. კათალიკოსის სამართლის გარდა, ამას სხვა ამბავიც ამტკიცებს. როცა კრება მოიწვიეს რუსეთის პატრიარქის ნიკონის განსაკითხად და განსასჯელად (XVII საუკ.), ამ კრებაზედ იმყოფებოდნენ საქართველოს მიტროპოლიტი ეპიფანე და არქიმანდრიტი პახომი. კრებამ ჩვენს ეკკლესიასაც სიკეთე შეჰმატა, სარგებლობა მოუტანა, — საქართველოშიაც საჭიროდ სცნეს და კიდეც გააუმჯობესეს გამგეობა და სასულიერო წოდების მდგომარეობა¹³⁾). მაინც საქართველოს ეკკლესია და სასულიერო წოდება ისე უკიდურესად არასოდეს არ დაუძლურებულა, რომ ხსნა და შველა აღარ ჰქონოდეს. გაჭირვების დროს ყოყელთვის მოიპოვებოდნენ, თუმცა ნაკლებად, დიალ მხნენი, მაღალ-ზნიანნი და მაღალ-ნიჭიანნი მწყემს-მთავარნი. იმათი ღვაწლი და ზრუნვა ჰფარვიდა ეკკლესიას, იმათი მადლი ნუვეშს ჰფენდა საზოგადოებას. კათალიკოზის სამართალშიაც ჩამოთვლილია მცირედი გუნდი მწყემს-მთავართა, რომელთაც საზოგადოების მკურნალება იტვირთეს და ეკკლესიას კეშმარიტი სამსახური გაუწიეს.

კათალიკოზის სამართალი კრებამ დაადგინა. ხოლო გრება ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენდა და ყველა ღირსშესანიშნავი ცვლილება და ახალი წესი კრების საშუალებით წარმოებდა. საერო კრებას დიდი პატივი და მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთს კრებას თითქმის ისეთივე ძალა ეპურა, როგორიც სამეფო ტახტს. როცა საჭირო იყო, სამეფო ტახტი კრებას იწვევდა და იგი კრება ერის უზენაესს უფლებას წარმოადგენდა, ერის წარმომადგენელობას ნიშნავდა. კრებაზედ მაღალი წოდების

¹²⁾ П. Йосселиани, Ист. Груз. Цер. 96—8.

¹³⁾ ibid. 115, 116.

კაცნი ბჭობდნენ. მატიანე მოწმობს, რომ ორგვარი კრება არ-
სებობდა—საერო და საეკკლესიო და ორსავე კრებაზე ესწრე-
ბოდნენ სასულიერონიცა და საერონიც. კრებას დაწესებითი
ძალა ჰქონდა (უძრავი უძრავი). საერო კრება ნაშთი იყო ეგ-
რედ წოდებულ მამასახლისათვის გამგეობისა და მამასახლი-
სობა ხომ საზოგადო ერის მართებელობას წარმოადგენდა. ხო-
ლო საეკკლესიო კრებას დასაწყისი სხვაგან მოეპოვებოდა. იგი
იწყებოდა მოციქულთა დროიდან. მოციქულებმა ჩასდეს კრე-
ბის საძირკველი. შემდეგ, მეორე საუკუნის დამლევს, კრება სა-
ზოგადო ჩვეულებად შეიქმნა და ეკკლესის მსახურნი წელი-
წალში ერთჯერ მარც უნდა შეკრებილიყვნენ. ამ ჩვეულებაზე
გავლენა იქონია საბერძნეთის საეროენო კრებამ (ამფიქტიონ) ¹⁴⁾.
ჩვენმა ეკკლესიამაც მიიღო ეს ჩველება და პირველად კრება
მოხსენებულია არჩილ მეფის დროს (413—46 წ.), როცა შე-
კრძნენ არქიეპისკოპოზის მობიდანის წინააღმდეგ. ამ მობიდანს
შესწამეს მართლ-მადიდებლობის ღალატი, საეკკლესიო წესისა
და რიგის შელახვა და კრებაც ამის გამო მოახდინეს ¹⁵⁾. პირ-
ველს მაგალითს შემდევი მოჰყვა და კრება საეკკლესიო გამ-
გეობის ფორმად გარდაიქცა. გუჯრებიდან სჩანს, რომ დასავ-
ლეთ საქართველოში უფრო ხშირი ყოფილა კრება და იქ თვი-
თეული დიდად საყურადღებო საეკკლესიო საქმე კრებაზედ გან-
უბრიათ და გარდუშუვეტიათ. როგორც უკვე შევნიშნეთ, კრე-
ბას, სასულიერო პირთა გარდა, ესწრებოდნენ საერო კაც-
ნიც ¹⁶⁾ და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ჩვენებური საეკკლე-
სიო კრება ვიწრო წოდებრივის ხასიათისა არ იყო, როგორც
სხვაგან. არა თუ მარტო მეფეს, არამედ კათალიკოზეაც უფლე-

¹⁴⁾ Робертсонъ, Ист. христ. церкви, I т. 1890 г. стр. 147.

¹⁵⁾ Ист. Груз. церк. 28—9.

¹⁶⁾ Церк. Гуджари, IV, 137, 141. ორს კრებაზედ, რომელიც სოლო-
მონ მეფემ მოიწვია 1759 და 1761 წ. დაესწრენენ ბერძნის მიტროპოლიტი
და იერუსალიმის ვექილი. კრების შესახებ ცნობანი და მოსაზრებანი იხ.
ა. ხახანაშვილის გუჯრებში, წინასიტყვაობა. ავტორს ნაჩვენები აქვს ჩვე-
ნის მარიანის ყველა ის ადგილი, სადაც კრება იხსენება.

გა ჰქონდა კრება შეედგინა. კათალიკოზის სამართლის აღ-
საწერადაც კრება მოხდა. კრება მოიწვიეს საქართველოს და
აფხათეთის კათალიკოზთა — „საქართველოს კათალიკოზმან
შეტრიანებული მაღაქია... აფხათეთის კათალიკოზმან მამათ-
მთავარმან ევდემონ დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპის-
კოპოზნი აფხათეთისაო“...

თუმცა იმ დროს საქართველო დანაწილებული იყო და
იმერთა და ამერთა შორის პოლიტიკური კავშირი არ არსე-
ბობდა, მაგრამ მაინც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კათა-
ლიკოზნი ერთად სხდებიან და იკრიბებიან, ერთად ბჭობენ
და თათბირობენ საქვეყნო საქმეზედ, ერთად აწესებენ კა-
ნონს. ბიჭვინტის გუჯარშიაც სწორედ ეგრეა — „და თქვენ,
წმინდანო მეფენო, მღვდელ-მთავართ მთავარნო, აფხათეთი-
სა და ქართლისა კათალიკოზნო, თქვენც ასრე დაუმტკი-
ცეთ“...¹⁷⁾ ეს გარემოება დიალ ლირსშესანიშნავია და პირ-
დაპირ მოწმობს, რომ საქართველოში საეკკლესიო კავში-
რი და ერთობა არ მოსპობილა, თუმცა იგი საქართველო პო-
ლიტიკურად დაიქამავსა და სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ
განიყო. „ყოვლის საქართველოის კათალიკოზი, პატრიარქი მა-
ლაქია“ პირველ აღვილას სწერია, ყოვლის საქართველოის კა-
თალიკოზად იგია წოდებული, მხოლოდ იგი ბრწყინავს შეტ-
რიანებით¹⁸⁾ და ეს ლირსება და ხარისხი კიდევ ღალადებს,
რომ ქართლის კათალიკოზს უფლება და მნიშვნელობა ჰქონია

¹⁷⁾ ა. ხახანაშვილის გუჯრები, 134.

¹⁸⁾ პატრიარქი — პირველი ეპისკოპოზთა შორის, კრების თავმჯდო-
მარედ იგი ითვლებოდა, ჩიხეილი, I. 284. მამა კ. ცინცაძე ამბობს,
რომ გათაღდა გოზ-შატრიანქად იწოდა პირველად სახელოვანი მწყებე-
მთავარი მელქისედეკ, ბაგრატ მეოთხის დროს. მელქისედეკმა აღიარა სრუ-
ლი დამოუკიდებლობა, ანტიოქიის პატრიარქის სახელის მოხსენება წირვა-
ლოცვის დროს აღკრძალა და დაამყარა ნამდვილი ავტოკეფალია საქართვე-
ლოს ეკკლესიისა. ჩვენი კათალიკოზი ისეთივე დამოუკიდებელი შეიქმნა,
როგორც საბერძნეთის პატრიარქი იყვნენ. მელქისედექს ხელს უწყობდა
საქართველოს პოლიტიკური ძლიერებაო, ავთონია გრუზინული ცერკვი,
исторический очеркъ, Пастыръ № 11—12, 1894 г.

მთელს ივერიაში. სამართალზედ კათალიკოზ-პატრიარქს მაღა-
კიას ხელი არ უწერია, სამართალს ამტკიცებენ მხოლოდ აფ-
ხაზეთის კათალიკოზი და იმერთა მწყემს-მთავარნი: ქუთათელი
მიტროპოლიტი სვიმონ, გენათელი მთავარ-ეპისკოპოზი ანტო-
ნი, ჭიონდიდელი და სხვ., მაგრამ აქ უცნაური არაფერია, თუმ-
ცა ეს ამბავი დ. ბაქრაძეს უცნაურად მიაჩნია¹⁹). საქმე ისაა,
რომ კათალიკოზის სამართალი იმერთათვის აღიწერა და ამი-
ტომ აღგილობრივი ძალა ჰქონდა. ხელიც იმერთა მწყემს-მთა-
ვართ მოაწერს. ქართლის კათალიკოზი მხოლოდ მოიხსენეს,
რადგანაც ამის ავტორიტეტი და უფლება „ყოვლის საქართვე-
ლოისთვის“ ცნობილი და აღიარებული ყოფილა.

საქართველოს კათალიკოზის მნიშვნელობა და გავლენა
დამოკიდებული იყო პოლიტიკურს მდგომარეობაზედ. სამეფო
და ეკკლესია მჭიდრო კავშირს შეადგენდნენ და საეკკლესიო
ერთობა და ძლიერება სამეფოს ერთობისა და ძლიერებისაგან
წარმოსდგებოდა. მიზეზიც აქ არის, რომ საეკკლესიო განცალ-
კევება (სეპარტიზმი) ზედ მოჰყვა პოლიტიკურს უძლურებას. აფ-
ხაზეთის კერძო კათალიკოზობა პირველად დაარსდა მაშინ,
როცა არაბთა ბატონობამ ორ დიდ ნაწილად გააპო საქართვე-
ლო და მისი პოლიტიკური აგებულება დაარღვია, დაშალა²⁰).
მეათე საუკუნიდან საქართველომ ისევ ძალა მოიკრიბა, მტერი
შემუსრა და ერთობა დაამყარა. ამის გამო საკუთარი და კერ-
ძო აფხაზეთის კათალიკოზობა მოისპო და საეკკლესიო ერთო-

¹⁹⁾ Сб. Зак. Вахт. 129, примѣч. 3.

²⁰⁾ Абхаз. Катол. 8—12 აფხაზეთის კათალიკოზობა დაარსა ბაგ-
რატ პირველმა 820 წ. კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნებართვით. 3.
ისასელიანი ამბობს, რომ აფხაზეთის საკათალიკოზო კათედრის დაარსების
მიზეზი, მეცხრე საუკუნის დასაწყისს, ის იყო, რომ საბერძნეთი აწუხებდა
აფხაზეთს. ბიზანტიის ანგარებას და რბევას იყი ველარ უძლებდაო, თვით
ბაგრატ პირველი იმპერატორის ნათესავი იყო და ყველა ამ გარემოებამ
ხელი შეუწყო საკუთარის კათოლიკოსობის დაფუძნებასაო. სამეგრელო
პირველად ქართლის კათალიკოზს ექვემდებარებოდა. ალბანიაში X საუკ.
საკუთარი და დამოუკიდებული კათალიკოზი იჯდა, Ист. Груз. Церк. 57,
148—9.

ბა ისევ დაფუძნდა²¹). შემდეგ, ორცა ძლიერი ივერია დაემ-
ხო და სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ განიყო, მაშინ აფხა-
ზეთის კათალიკოზობა კვლავ აღსდგა, მაგრამ წარსული გარდ-
მოცემა ცხოვლად დარჩა და ქართლის კათალიკოზმა საყოველ-
თაო მნიშვნელობა არ დაჰკარგა. მაინც ასეთის თვისებისაა სა-
ეკლესიო გარდმოცემა!... მაგალითებრ, მეჩილმეტე საუკუნის
დამლევს თუმცა სამცხე ოსმალეთს ექვემდებარებოდა, მაგრამ
ქართლის კათალიკოზი ითანაბეჭდი ამ სამთავროს თავისს საკუთრე-
ბად აღიარებდა. მეთხუთმეტე საუკუნეს იერუსალიმისა და ან-
ტიოქიის პატრიარქი იმერეთში მობრძანდა, განიხილა ეკკლე-
სიის მდგომარეობა, ბედიელი ეპისკოპოზი ითაკიმე კათალი-
კოზად აკურთხა და ხალხს ჩააგონა, საქართველო ჩემი სამწყ-
სოა, თუმცა კი ჯერ ისევ მერვე საუკუნეს საქართველოს
ეკკლესია დამოუკიდებელი შეიქმნა და ანტიოქიის პატრიარქის
ბატონობა თავიდან მოიშორა²²). ახლაც ეს პატრიარქი ივე-
რიას თავისს სამწყსოდ სთვლის და იმის პატრიარქადაც იწოდება...
რასაკვირველია, მარტო სახელით.

როგორც უკვე აღნიშნეთ, კათალიკოზის სიმართლის
წინასიტყვაობაში სწერია, — „დავიდევით რჯულის კანო-
ნი და ჩვენც იმისაგან გარდმოვიდევით და რაც იმისაგან არ
გარდმოვიდევით, ჩვენ ჩვენი მაგიერი არა შეგვიმატებია-რა“...
მაგრამ კათალიკოზის სამართალი ცარიელი „გარდმოლება“
როდია, — „მრავალს უწესოებასა და უჯერო საქმეს იგი სა-
მართალი სდებს ისეთს სასჯელსა, რომელიც რჯულის კა-
ნონში სრულიად არ მოიპოვება. გარდა ამისა, კათალიკოზისა

²¹⁾ თ. უორდანიას ქრისტიანული ისტორიის კანონის შემთხვევაში — Завѣща-
ніе Царя Давида Воздобновителя, Тифлісъ 95 г. стр. 19, примѣч. 40, ბ-ნი
ავტორი თითქო არღვევს თავისს აზრს.

²²⁾ ცერков. გუდჯარი, 69, 103, 131—2. აბხаз. კათოლიკ. 14—15. ერ-
თის გუჯრიდან სჩანს, რომ სამცხეში XV საუკ. აწყურის მწყემს-მთავარი
ანტიოქიის პატრიარქს იხსენებდა საეკკლესიო მსახურობის დროს. არქიეპის-
კოპოზი გერასიმე პირობას სდებს, ამიერიდან მოვიხსენიო სრულიად საქარ-
თველოს კათალიკოზით.

და რჯულის კანონი ერთი-ერთმანეთისაგან შინაარსითაც განსხვავდებიან. ასეც უნდა იყოს, რადგანაც პირველი მათგანი ჩვენის ცხოვრების ნაშთია, ხოლო მეორე უცხოელ ეკკლესიის დადგენილებას შეადგენს. შედარება ამტკიცებს, რომ თითოოროლა მუხლი და ისიც შეცვლით აღწერილი თუ არის „გარდმოლებული“ რჯულის კანონისაგან, თორემ სხვა არაფერი²³⁾). ხოლო ხასიათი და მიმართულება კათალიკოზის სამართლისა და რჯულის კანონისა ერთი და იგივეა და ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ პირველი მეორისაგან „გარდმოლებულია“. მაგრამ მაინც სიტყვა „გარდმოლება“ აქ უფრო იმის აღმნიშვნელია, რომ რჯულის კანონმა გავლენა იქმნია კათალიკოზის სამართალზედ. ესეთი გავლენა აუცილებელიც იყო, რადგანაც პირველადვე ჩვენი ეკკლესია და სასულიერო წოდება საბერძნეთის კანონითა და სამართლით ხელ-მძღვანელობდა. მაგრამ როდესაც ქართული საეკკლესიო მწიგნობრობა აღორძინდა, რჯულის კანონიც სთარგმნეს და, როგორც კათალიკოზ მელქისედეკის გუჯრიდან სჩანს, წმ. მამა ევთიმეზედ ადრე გვქონია თარგმნილი რჯულის კანონი²⁴⁾). ამ ნეტარ-ხსენებულმა წმ. მამამ ხომ დიდი ყურადღება მიაქცია სასულიერო კანონ-მდებლობას და სთარგმნა ყველა ისეთი წიგნი, რომელიც საჭირო იყო საეკკლესიო გამგეობისათვის,—მაგალითებრ რჯულის კანონი, ძეგლის წერა მეშვიდე მსოფლიო კრებისა, იოანნე მმარხეველის კანონი შეცოდებულთანი და სხვ.²⁵⁾ თარგმანება არც შემდეგ

²³⁾ Brosset, Notice sur un Nomocanon géorgien—რჯულის კანონი, ცალკე წიგნად. აქ ბროსსე იკვლევს იმ რჯულის კანონს, რომელიც არქეოლოგს სტრონევს ვოლოლდაში უპოვნია. იგი დაწერილია 1350 წელსაო. ხელთაწერი შეიცავს ას საეკკლესიო კანონს, იოანნე მმარხეველის თხზულებას „კანონი შეცოდებულთანი“ და სხ.

²⁴⁾ ო. უორდანია, ქრონიკები, I. 183. ჯერ გარდაწყვეტილი არ არის, სახელდობრ რომელ საუკუნეში სთარგმნეს პირველად რჯულის კანონი ავტორი დასაწყისად მეშვიდე საუკუნეს სთვლის.

²⁵⁾ ibid. 155, 172. Ист. Груз. Цер. 117, სადაც ნაჩვენებია, თუ რა დიდარი იყო ჩვენი საეკკლესიო კანონ-მდებლობა თარგმანით.

შეწყვეტილა და ამ გზით საბერძნეთის საეკკლესიო კანონშა დიდი გავლენა და ძალა მოიპოვა საქართველოში. რასაკვირველია, კათალიკოზის სამართალიც ამ გავლენასა და ძალას ვერ ასცდებოდა, თუმცა კი მონებრივ არ დამორჩილებია რჯულის კანონსა...

რჯულის ქანონი, რომლიდანაც ვითომ გარდმოღებულია კათალიკოზის სამართალი, მეექვსე მსოფლიო კრების კანონს შეადგენსო, ამბობს დ. ბაქრაძე²⁶⁾). მაგრამ ისტორია მოწმობს, რომ მეხუთესა და მეექვსე კრებაზედ მარტო სარწმუნოების შესახებ ბჭობდნენ და კამათობდნენ, ხოლო კანონი და სახელმძღვანელო წესდება არ დაუდგენიათ. ამ მიზეზის გამო იმპერატორმა იუსტინიანე მეორემ 691 წ. მიიწვია ეგრედ წოდებული ტრულის კრება, რომელმაც ას ორი კანონი აღწერა. ამ კანონთა შორის ექვსი უარ ჰყოფდა რომის პაპის უპირატესობას და ეს გარემოება შეიქმნა პირველ მიზეზად აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკკლესიათა განცალკევებისა, განყოფისა²⁷⁾). რჯულის კანონი, რომლითაც საქართველოს ეკკლესია ხელმძღვანელობდა, უმეტეს ნაწილად ტრულის კრების დადგენილებას შეიცავს და ამ რჯულის კანონის ასის მუხლიდან სამი მეოთხედი ტრულის კრებას ეკუთვნის. სხვა მუხლით დამატებას შეადგენენ და თავისებურნი არიან, მაგალითად მარხვისა და დღესასწაულის შესახებ. მცირედი რაიმე მეექვსე კრებიდანაც ამოღებულია²⁸⁾). აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ტრულის კრება აღიარებული არ არის მსოფლიო კრებადა, V—VI კრებათა დამატებად ითვლება და სახელად მეხუთე—მეექვსე კრება ეწოდება (Quinisexte).

კათალიკოზის სამართალი ცალკერძო შინაარსისა როდია და, საეკკლესიო კანონებს გარდა, შეიცავს, ზოგს ისეთს დანაშაულს, რომელიც სისხლის სამართალს შეეხება (მაგალითად კაცის-კვლა, პარვა, კაცის სყიდვა). მაინც ძველად საეკკლესიო

²⁶⁾ Сбор. Зак. Вахт. 129, пр. 2.

²⁷⁾ Робертсонъ, Ист. Христіан. Церк. I. стр. 576 и пр.

²⁸⁾ Brosset Notice... 118, 122—3, 147—9.

ჭანონს ყველგან ესეთი მიმართულება ჰქონდა. იმ დროს კანონსა და სისხლის სამართალს შორის საზღვარი დადებული არ იყო და სასულიერო წოდებას ხელი მიუწვდებოდა ბევრს ისეთს ბოროტ-მოქმედებაზედ, რომელიც ახლა ამას აღარ ეკითხვის. მაგრამ სხვა მიზეზმაც გავლენა იქონია. როდესაც ერის იურიდიული აზრი დაბალს წერტილზედ სდგას, მაშინ საზოგადო სამართლის ბუნებაც განურკვეველია, სამოქალაქო და სისხლის სამართალი ერთი მეორისაგან განუყოფელია და თვითეული დარგი სამართლისა განუცალკევებელია. და თუ კათალიკოზის სამართალი სჯიდა ისეთს დანაშაულსაც, როგორიც, მაგალითებრ, კაცის-კვლაა, ეს ამბავი კანონისა და სამართლის განუვითარებლობასაც ამტკიცებს. მაგრამ აქ ერთი გარემოებაც დიალ ღირს შესანიშნავია, სახელდობრ ის, რომ ჩვენი სასულიერო წოდება ფეოდალურად იყო მოწყობილი და დამოუკიდებელს წყობას წარმოადგენდა. ჯერ ისევ კათალიკოზის დაარსებამდე მთავარ-ეპისკოპოზი, მაგალითებრ გლობონქორ, ერისთავადაც ითვლებოდა²⁹⁾ და შემდეგ ფეოდალობა ხომ უფრო მეტად აღორძინდა და ეკკლესიამაც დიდი უფლება და მნიშვნელობა მოიხვეჭა. ღროთა განმავლობაში საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით მეფეს ეკკლესიისა და იმის სამფლობელოზედ თითქმის ხელი არ მიუწვდებოდა და საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი ამბობდა, ეკკლესიასთან ბრძოლა არ ძალის, ეკკლესიას მამულს და ყმას ვერ ჩამოვარომევ და ამის ნება არა მაქესო³⁰⁾). თავისს სამფლობელოში ეკკლესია და სასულიერო წოდება თითონ აწარმოვებდა სამართალს და ყოველ გვარს დანაშაულს სჯიდა, მეტადრე როცა დანაშაულობა ყმასა და გლეხს ჰბრალდებოდა. მაშასადმე, თვით სასულიერო წოდებისა და ეკკლესიის ფეოდალური წყობილება შეიქმნა მიზე-

²⁹⁾ ქრონიკები, I. 47.

³⁰⁾ ცერქ. გუდჯარი, 35. ურბნელებმა თავისს ეპისკოპოზის ხარჯის მიცემაზედ უარი უთხრეს. მეფე ირაკლი მეორემ ამის გამო ბრძანა, საქართველოში არ გაგონილა, რომ ვინმემ საეკკლესიო გარდასახადი არ გაიღოსო. ibid. 27.

ზაღ, რომ კათალიკოზის სამართალში მოიპოვება ზოგი ისეთი დანაშაული, რომელიც საეკლესიო კანონს არ შეესაბამება და საერო სისხლის სამართალს ეკუთვნის.

საქართველოს სამეფო ტახტი და ეკკლესიამ ძველადვე გაინაწილეს სამართლის საასპარეზო. ამ შემთხვევაშიც საბერძნეთში იქონია გავლენა თავისს ერთ-მორწმუნე ივერიაზედ. საბერძნეთში იმპერატორი განაგებდა საეკკლესიო სამართლის უზენაესს დაწესებულებას, იგი იმპერატორი ითვლებოდა უპირატეს მსაჯულად. იმის ბრძანებასა და უფლებაზედ იყო დამოკიდებული მსოფლიო კრების მოწვევა, ამ კრების განაჩენისა და დადგენილების დამტკიცება. მეორეს მხრით, ეკკლესიის წარმომადგენელიც მალე შეიქმნა საერო მოსამართლედ და მსაჯულად. პირველ დროის ქრისტიანებს ნდობა და პატივი არა ჰქონდათ სხვა სჯულის მოსამართლეებისა და საქმის გასაბჭობად ადგილობრივს ეპისკოპოზეს მიმართავდნენ ხოლმე. ეპისკოპოზიც სიამოვნებით ტვირთულობდა ამ მოვალეობას და ყოველი ქრისტიანი მოწიწებით ისმენდა ამის მსჯავრსა და განაჩენს. ასეთი სამართლის ქმნათან და თან განმტკიცდა და ჩვეულებად გარდაიქცა. სამართლის საქმეში მეტადრე დიდი ძალა შეიძინა ეპისკოპოზმა, როცა სახელმწიფომ ქრისტიანობა თფიციალურად აღიარა და ირწმუნა ³¹⁾). ჩვენი სამეფო ტახტი ბიზანტიის ჰბაძავდა და ხელმძღვანელობას, მაგალითს იმისაგან იღებდა. ქრისტიანობის დაფუძნების შემდეგ საქართველოს მეფემ უზენაესი საეკკლესიო გამგეობა თავისს უფლებად იცნო და ამის გამო ეკკლესიის უპირატესი წარმომადგენელიც მეფის ქვემდებარედ გარდაიქცა. მართალია, მეფისა და კათალიკოზის შესახებ კანონი ამბობდა, — „ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა, კურთხევა და პატივი ღვთისაგან და კაცთაგან სწორედ აქვთო“, მაგრამ კათალიკოზი და უზენაესი საეკკლესიო გამგეობა მაინც მეფეს ეხელმწიფებოდა. ამის საბუთი თვით კათალიკოზის სამართალშიაც მოიპოვება: ეპისკოპოზი, თუ რამე დაეშაოს, „კათა-

³¹⁾ Робертсонъ, I. стр. 277—81.

ლიკოზმან სწვართოს... არა გაუგონოს და არ იწვართოს... მეფებ საუდისაგან ექსორია ქმნას (მუხ. ივ). კათალიკოზს შეეძლო ეგეთი ეპისკოპოზი მხოლოდ „წირვისაგან განეკვეთა“. ვახტანგ მეფის სიტყვით, „მეფეს უფრო პატივს სცემენ, მაგრამ ხორციელის შიშით იქმონენ“... ყოველ შემთხვევაში, მეფის უფლება კათალიკოზისას აღემატებოდა მაშინაც კი, როცა საქმე საეკკლესიო გამგეობას შეეხებოდა და ამ მხრივ საქართველო ბიზანტიის გზას მისდევდა. როგორც იქ პატრიარქი, ისრე აქ კათალიკოზი სამეფო ტახტის მორჩილი იყო და ამ ტახტს ეკუთვნოდა უმაღლესი საეკკლესიო ზედამხედველობა.

6. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

35 29 9

რასთამეტი - მა
N IV



200-227 N 1098
1/1

სასამართლოს განაჩენი

მეცნ გიორგი XIII-ის დროის*)

ქ. მათს უმაღლესობას სა დ საქართველოს მეფეს გიორგისთან ეხივლა დაკითაშვილს მღვდელს დავითს ფირალაშვილებისათვის და ჩვენს კელმწიფეეს მეფეს ჩვენ მათს მმის ჭარნავაზესათვის ებძანებინა ამათი სამართალი და ჩვენ თრნივე სამართალში მოკავებინეთ. და- კით მღვდელი ფირალაშვილებს წისქვილს ედავებოდა გარშემოს მიწებით, ასე რომ ლიპუშვილი თავისის სრულის მამულით ჯავა- ხისშვილებს სკოტი-ცხოვლისათვის შემოეწირათ მტკიცეს გუჯრით და ეს ლიპუშვილი ამოწყვეტილიყო და ამ ლიპუშვილის ნაქონი მათს უწმინდესობას უდევისა საქართველოს კუ პატრი- ანს სანატრელის მეფის ირაკლი მეფის ძეს ანტონის ამ დაკით მღვდლისათვის ებოძებინა. და ეს მღვდელი გუჯარით და იმ ლიპუ- შვილის ნაწყალობის სიგლებით ედავებოდა. ფირალაშვილები ესრუთ მიუვებდნენ დაკით მღვდელს: შენ ჩვენთან რა საქმე გაქს, ძველიდგან, ჩვენი ნასეყიდი არის და არავინ გვდაებიან. ერთხელ მამუკა თარხნი- შვილი წამოგებდა და იმ დავაშაც იქ დაგესწრა. თუ ლიპუშვი- ლის იყო, რატომ არ იდავარ. და ამას გარდა ფირალაშვილებმა ერთა- წმინდის დეკანოზის პეტრეს მოწმობაც მოიტანეს და ასე ეწერა: მა- მუკა თარხნისშვილი ფირალაშვილებს წისქვილზედ რომ ედავებოდა, მე იქ დავესწარ. ფირალაშვილებმა გული აჭერეს მამუკას და წის-

*) პირი ამ განაჩენისა წარმოუდგინა რედაქციის ქბ. ელისაბედ გურამიშვილ- მა, რომელსაც უბოვნია იგი თავის განსვენებული მამის ვახტანგ გურამიშვილის ქა- დალდებში.

ქვილი იყიდალა შვილებს დაოჩათ. ლიპუა შვილი შემაჯანაც იქ იყო
იმათ დაკაში და არა ულაპარაკნია რაო. დაკითა შვილმა მღვდელმა
პასუხებდ მიუგო: ასეთი კაცი იყო, რომ ლიპუას შვალს იმ მამუკამ
სხვა მიწაც გაუუიდა და მოწმად თითონ ლიპუა შვილი დაწერა; მეო-
რედ ესეც უპასუხა: თუ ეგ წიგნი ჰეშმარიტი არის, რომლითაც მა-
მუკას გული ავერე, რატომ ისინი არ დასწერე მოწმათ და სხვანი
რათ დასწერეთ? ამ მიზეზითა არა მჯერა, რომ თქვენი წიგნი მართა-
ლი იყოს; თუ სხვა ნასუიდობის წიგნი არა გაქვსთ, მამუკას წიგნი
არ შეიწყნარება და არც ყაბული მაქსი, ამისთვის რომ ამ გვარი საქ-
მე მამუკას ბევრი უქმნიაო. მამუკას წიგნისაგან ჩემი გუჯარი და
ნასუიდობის წიგნი უფრო ჰეშმარიტი არის, ამისთვის რომ თუ კი
სიმართლით გაძლიერდა მამუკა წიგნის, რატომ ყარალა ფულის რეზედ
არ დაგიწერა, თემამზედ რათ გიწერდა და კიდევ ესე რომ, როდესაც
პასაჯანა მოვალდა, მაშინ დაუწეუ იმ საწისქვილოს შენება და იმისა
შვილი მოვიდა და დაგიშალა, ნუ აშენებ, ჩემიაო. ჩენ ფირალა შვი-
ლებს ბევრი ნასუიდობის წიგნი მოვთხოვეთ და ასე თქვეს, რომ
ქანში ურემი გადაგვიბრუნდა, სხვა მრავალი წიგნებიც და იმ
წისქვილის და მიწების ნასუიდობის წიგნებიც იქ დავკარგეთო.
რადგანაც ფირალი შვილებს ბევრი სიგელი არა ჭრონდათ, ეს მამუკა-
საგან მოცემული წიგნი მოვატანინეთ და მამუკას წიგნიც ასე უცხა-
დებდა: წამოგედავე საწისქვილოს, მოხველ და გული გვაჭერე, რომ
უწინაც შენი ყოველიდეულ და ახლაც შენებ დაგანებეთ თემამზედ სა-
წისქვილოო. ეს რომ გავსინჯეთ, დავით მღვდელს გუჯარი და ლი-
შუა შვილისაგან ბევრი ნასუიდობის სიგელი თოვი მოვატანინეთ.
ბევრს ნასუიდობის წიგნში ასე უცხადება: მოგედე მე ფიგნიას-
შვილმა ზურაბამ და მმათა ჩემთა მენ ლიპუა შვილს და მმათა შენ-
თა ყარალა ფულის რეზედ როის დღის მიწა. კიდევ ერთის დღის
მიწა რეს შეს ჭანდილას შვილის სამზღვრამდის, მერე კიდევ მოგეი-
ცემია საჯალვე შენსავე წისქვილის ზედათ ყარალა ფულის რეს იქით
ჭალა. ამას გარდა ჭავახიანთაგან შეწირულობის გუჯარი ჩოჩეთის
შირდაბირ ჭალით და საწისქვილოთი შეწირულობის უცხადებ-
და. ეს წერილები რომ კნახეთ და ორისაუ მხრიდამ საბუოება გავ-
სინჯეთ და ამათი საჩიგარი მოვისმინეთ, რადგანაც ფირალა შვილები

და ეით მღვდელს ასე ეუბნებოდნენ: შენ ჩოჩეთის პირდაპირ გიწერა და ჩვენი წისქვილი ზეკით არისო, დავით მღვდელი ამის პისუხსად მიუგებდა: ოდესაც ჩოჩეთი თავის თავის მამულზე მდგარან, მაშინ სწორედ პირდაპირ იქნებოდა. ჩვენ ამისათვის წავედით და იმ წისქვილის მდებარეობა და გარეშემო მიწები გავსინჯეთ, ჩოჩეთის პირდაპირ იქნებოდა უწინ ეს წისქვილი; ამას გარდა კიდევ ჩვენ რომ იმის სამზღვარს და მიჯნებს კსინჯავდით, ფირალაშვილებმა თავისის თავის გასამართლებლათ ერთი წიგნი მოიტანეს, რომელიც ესრულებოდა იმ წიგნში: მოვყიდე მე კეთხესასშვილმა შენ ნარდავითასშვილს ჩემს ნასყიდს ჭალაზედ შენს ნასყიდს ლიპუაშვილის მიწის ზემოდამ ჩემს მიწაში დუს რეს წაკვრივით ერთი საწისქვილო რე. ამ წიგნის ძალით მტკიცედ აღმოჩნდა, რომ წისქვილს ზემოდ ლიპუაშვილისა არის, კიდევ გუჯარის წერილის ძალით და ნასყიდობის წიგნით ამ დავით მღვდელს ოჩებოდა წისქვილი და იმის გარეშემო მიწები, მაგრამ რადგანაც ფირალიშვილები სამს საბუთს ამბობდნენ, ზუდ ამას, რომ ძევლადგან ნასყიდი გვაჭვს მანთელასშვილისაგან და სიგლები დაკარგული გვაჭვსო, მეორე, რომ ამდენი სანია არავინ გვდაკებიან და ჩვენ გვიჩირავს ეს წისქვილიო, მესამე, რომ ერთა-წმინდის დეკანოზის მოწმობა მოიტანეს ლიპუაშვილი იურ იმ წისქვილის დავაში და არა უთქვამს-რაო იქ უოფაში— ჩვენ ამ სამძა აზრმა და საბუთმა იჭვმი შეგვიყვანა, ამის ჩვენის იჭვის განწმენდისათვის ფირალაშვილების ფიცი დავსდვით: ექვსი მოფიცარი შეგაგდევით, სამი სამართალმა იპატივა, სამი მოფიცარი კიუნდა იშოუს, ერთი ფირალიშვილის გამორჩეული უნდა იყოს და რომ მღვდლისაგან შეგდებული, რომ სამის მოფიცარით ასე უნდა იფიცოს ჯვარსა და წმინდას სახარებაზედ პელი უნდა დასიდგას და ასე სთქვას: ამისმა მადლობა და ამისმა განმაცხოველებელმა ლთნ რომ ეს საწისქვილო ლიპუაშვილისათ არც მამის ჩემისაგან გამიგონა და არც მე ვაცოდე, მანოულაშვილისაგან ნასყიდი მქონდა და იმის ნასყიდობის წიგნები დავგარგე, მას აქეთ ჩვენ გვიჩირავს და არავინ გვდაკებია და ლიპუაშვილი შაბაჯნაც იქ დაგვეწრა, როდესაც მამუქას გედავენით და არ უდაკნია. თუ ასე იფიცა, რასაც ის ფიცით შემოსაზღვრამს, ის წისქვილი ფირალაშვილს

ფირალას და იმის მმას გოგიას დარჩებათ და თუ ისე კერ იფიცეს ფირალაშვილებმა, ამიდავითაშვილს დავით მღვდელს დარჩება ის წისქვილი, რუს შეს მიწა და ყარალაჯულს რუს შეკვით წისქვილის წინ რიცემდინ მიწა და ჭალაც და რადგანაც კიდევ იმ პაპაჯანას თბოლი მასულა და დაუშლა, ხუ ააშენებო, ჩემიაო, და არას შეპოებია და აუშენებია, ამისათვის მეფის გასტანგის სამართლით რ. ი. ზ. ამდენის რიცხვიდამ ესრედ უსჯიდა, რადგან ეკკლესიის მამულია, ამისათვის შენობისა არა ეძლეოდათ რა ფირალაშვილებს; მაგრამ ჩენ კიდევ ასე უსაჯეთ, რომ ის წისქვილი უნდა დაფასდეს უაკელი-იყრით შენობით, ქვებით და თავის არაღებით და მღვდელმა დავით-მა ნახევარ ფასი უნდა მასცეს მიწებს გარდა და კიდევ ასე რომ რაერთი ხანიც ფირალაშვილებს წისქვილის შემოსაჯალი უჭამიათ, იქიდამ ნახევარი მღვდელს უნდა მასცემოდა სამართლით, მაგრამ რადგან შეუძლებელი იყვნენ ეს ფირალაშვილები, ამისათვის გაპატი-გეთ და ეს ზემოწერილი ასე განუჩინეთ ქსნის ერისთავის შვილის გორგის თან დასწრებით მღვდელნებების ჯავახისშვილის განუშტის მათის უწმინდესობის მღვდელ მონაზონის იოსტოსის და დავას-ტირის აჩნდის ხატის დეკანოზის სოლომონის თან დასწრებით. ჩენო ეშვალასბაშო ერისთავის შვილო თორნიკე, ფირალაშვილებმა უნდა შეჭირონ და თუ კერ შეჭირონ კელი აუმართე და დავითაშვილს მღვდელს დავითს მოახარე. მარტის იე ჭეს უპს. გორგი, იოს-ტოს, სოლომონ.

დავით მღვდელს ასე ეუბნებოდნენ: შენ ჩოჩეთის პირდაპირ გიწერა
და ჩვენი წისქვილი ზეკით არისო, დავით მღვდელი ამის პასუხად
მიუგებდა: ოთდესაც ჩოჩეთი თავის თავის მამულზე მდგარან, მაშინ
სწორედ პირდაპირ იქნებოდა. ჩვენ ამისათვის წავედოთ და იმ წის-
ქვილის მდებარეობა და გარეშემო მიწები გავსინჯეთ, ჩოჩეთის პირ-
დაპირ იქნებოდა უწინ ეს წისქვილი; ამას გარდა კადეკ ჩვენ რომ
იმის სამზღვარის და მიჯნების კსინჯავდით, ფირალა შვილებმა თავი-
სის თავის გასამართლებლათ ერთი წიგნი მოიტანეს, ორმეტიც ეს-
რეთ ეწერა იმ წიგნში: მოგვიდე მე კეთხსის შვილმა შენ ნარდა-
გითას შვილს ჩემს ნასყიდს ჭალაზედ შენს ნასყიდს ლიპუა შვილის
მაწის ზემოდამ ჩემს მიწაში დუს რეს; წაკვრივით ერთი საწისქვი-
ლო რე. ამ წიგნის ძალით მტკიცედ აღმოჩნდა, რომ წისქვილს
ზემოდ ლიპუა შვილისა არის, კადეკ გუჯარის წერილის ძალით
და ნასყიდობის წიგნით ამ დავით მღვდელს ოჩებოდა წისქვილი და
იმის გარეშემო მიწები, მაგრამ რადგანაც ფირალი შვილები სამს სა-
ბუთს ამბობდნენ, ჟდ ამას, რომ ძევლადგან ნასყიდი გვაჭვს მანთე-
ლას შვილისაგან და სიგლები დაკარგული გვაჭვსო, მეორე, რომ ამ-
დენი ხსნია არავინ გვდავებიან და ჩვენ გვიჭირავს ეს წისქვილიო,
მესამე, რომ ერთა-წმინდის დეკანოზის მოწმობა მოიტანეს ლიპუა-
შვილი იყო იმ წისქვილის დავაში და არა უთქვამს-რაო იქ უოთაში—
ჩვენ ამ სამმა აზრმა და საბუთმა იქვე შეგვიყვანა, ამის ჩვენის იქ-
ვის განწმენდისათვის ფირალა შვილები; ფიცი დავსდვით: ეჭვსი მო-
ფიცარი შეგაგდევით, სამი სამართალმა იპატივა, სამი მოფიცარი კი
უნდა იპოვოს, ერთი ფირალი შვილის გამორჩეული უნდა იყოს და
ორი მღვდლისაგან შეგდებული, რომ სამის მოფიცარით ასე
უნდა იფიცის კვარსა და წმინდას სახარებაზედ პელი უნდა დასიდ-
ვის და ასე სთქვას: ამისმა მადლმა და ამისმა განმაცხოველებელმა
ლონ რომ ეს საწისქვილო ლიპუა შვილისათ არც მამის ჩემი-
საგან გამიგონა და არც მე კაცოდე, მანოულა შვილისაგან ნასყი-
დი მქონდა და იმის ნასყიდობის წიგნები დაკარგე, მას აჭერ ჩვენ
გვიჭირავს და არავინ გვდავებია და ლიპუა შვილი პაპაჯანაც იქ და-
გებსწრა, ოთდესაც მამუკას გედავენით და არ უდავნია. თუ ასე იფი-
ცა, რასაც ის ფიცით შემოსაზღვრამს, ის წისქვილი ფირალა შვილს

ფირალის და იმის ქმას გოგიას დარჩებათ და თუ ისე კერ ითვი-
ცეს ფირალაშვილებმა, ამდავითაშვილს დავით მღვდელს დარჩება ის
წისქვილი, რუს შეს მიწა და ყარალაჯულის რუს შემვით წისქვილის
წინ რიუქმდინ მიწა და ჭალაც და რადგანაც კიდევ იმ ჰაპაჯანას
ობოლი მისულა და დაუშლია, ხუ ააშენებო, ჩემიაო, და არას შეპოე-
ბია და აუშენებდა, ამისათვის მეფის გახტანგის სამართლით რ. ი.
ზ. ამდენის რაცხვიდამ ესრედ უსჯიდა, რადგან ეკელესის მამულია,
ამისათვის შენობისა არა ეძლეოდათ რა ფირალაშვილებს; მაგრამ ჩვენ
კიდევ ასე უსაჯეთ, რომ ის წისქვილი უნდა დაფასდეს უოკელი-
ოვრით შენობით, ქვებით და თავის იარაღებით და მღვდელმა დავით-
მა ნახევრა ფისი უნდა მისცეს მიწებს გარდა და კიდევ ესე რომ
რაერთი ხანიც ფირალაშვილებს წისქვილის შემოსავალი უჭიამათ,
იქიდამ ნახევარი მღვდელს უნდა მისცემოდა სამართლით, მაგრამ
რადგან შეუძლებელი იუგნენ ეს ფირალიშვილები, ამისათვის გამატი-
ოვთ და ეს ზემოწერილი ასე განუჩინეთ ქსნის ერისთავის შვილის
გიორგის თან დასწრებით მდივანბეგის ჯავახისშვილის ვახუშტის
მათის უწმინდესობის მღვდელ მონაზონის ილატოსის და დივას-
ტირის ანნდის ხატის დეკანზის სოლომონის თან დასწრებით.
ჩვენო ეშვალასბაშო ერისთავის შვილო თორნიკე, ფირალაშვილებმა
უნდა შეკვიცონ და თუ კერ შეკვიცონ კელი აუმართე და დავითაშვილს
მღვდელს დავითს მოახარე. მარტის იე შეს უპს. გოორგი, ილ-
ტოს, სოლომონ.

საეკლესიო ღვთის-მსახურების წიგნთა აწინდელი
მდგომარეობა ქართულს ენაშედ

წარსული 1897 წლის დეკემბრის თვის უკანასკნელ რაცხვები ერთი პატივურებული მამულიშვილი გაზეთ «ივერიაში» სულის გნესით მოგვითხობდა ნაკლებობას ანუ უპოვარობას საეკლესიო ღვთის-მსახურების წიგნებისას ქართულს ენაზედ, და მასთანავე გამოსთხვა საღმრთო სურვილი, რათა ადგილობრივა სასულიერო მთავრობამ კეთილ ინებოს და თვისის საფასიოთ დაბეჭდვინოს საეკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები ქართულს ენაზედ და მით მამობრივ დაკმაყოფილოს საღმრთო სულიერი წეურვილი ქართველთა მართლმადიდებელი ერისა. ხოლო თუ ეს შეუძლებლად აღმოჩნდება რომელისამე მიზეზით, მაშინ ნება დართოს ქართველს კერძო საზოგადოებას ანუ პირთა ზემოხსენებულ წიგნთა დაბეჭდვისა.

ეს ზემოხსენებული აზრი ფრიად კურთხეულ და ღვთისნიერია. მაგრამ ამასთანავე არ იყო გამოოქმული, რა მდგრადებელაში იმუოფება ეხლა ქართულს ენაზედ საეკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები.

ჩვენდა სამწეხაროდ, უნდა აღვითოთ, რომ არა სასურველს და სანატრელს მდგრადმარებელაში იმუოფება. რისთვის? იმისთვის, რომ მათ შორისაც არა მცირედი შეცოდამანი არაა, უამთა ვითარების გამო, შესარულნი, ვითარება ქართულს დაბადებაში. იყითხავთ, რის გამო? ჩვენის დაუდევრობის გამო. როდესაც ვაჭრობის ხასიათი და მიმართულება მიუძღვის ამგვარს წმიდა და ღვთისნიერს საქმეს, და არა სრული უანგარობა და ჭეშმარიტი სიუვარული სამშობლო ეპგლესიისა და ერისადმი, მაშინ იქ რა კეთილი აღორმინდება? ანგა-